ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარდგინების შესაბამისად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 12 თებერვლის ბრძანებულებით ქალაქ რუსთავის ტერიტორია შედგენს 6 060 ჰექტარს. დამტკიცებულია ქალაქის საზღვრები. დადგენილია, რომ ქალაქის საზღვრებში მოქცეული საბჭოთა მეურნეობების მიწები და სხვა სამოსახლო-სამეურნეო სავარგულები, ფერდობები ტყეები რჩება საბჭოთა მეურნეობების, სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებისა და სატყეო მეურნეობების სარგებლობაში, და ამ მიწებიდან ნაკვეთების გამოყოფა ქალაქის განვითარებასთან დაკავშირებით ყოველ ცალკე შემთხვევაში უნდა მოხდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. (საქინფორმი).

ანგოლა: მეჯვევა გრძელდება

ლუანდა, (საკადესი). ანგოლის სახალხო რესპუბლიკის შეიარაღებულმა ძალებმა, რომლებიც განაგრძობენ შეტევას სამხრეთისა და აღმოსავლეთის მიმართულებით, აიღეს ტრანსანგოლის რკინიგზის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ცენტრი — ქალაქი სილვა-პორტუ, ამასთანავე გათავისუფლეს დიდი სანავსადგურო ქალაქი მოსამედიში და ქალაქი სა-და-ბანდეირა, რომელიც ათას კილომეტრზე მდებარეობს ლუანდის სამხრეთით. ეს ნათქვამია სახალხო არმიის ოფიციალურ კომუნიკეში, რომელიც დღეს დედაქალაქის რადიომ გადასცა.

დედაქალაქის რადიო იტყობინება, რომ ამ კვირის დამდეგიდან ანგოლის სახალხო რესპუბლიკის შეიარაღებულმა ძალებმა აიღეს ექვსი დიდი ქალაქი, რომლებსაც კონტროლს უწევდნენ ინტერვენტები და მეამბოხეები, ამასთან განსაკუთრებით აღინიშნავს ანგოლის სახალხო რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მიერ სილვა-პორტუს დაკავება. სწორედ ამ ქალაქში იყო მეამბოხეთა შტაბ-ბინა მას შემდეგ, რაც დაემხო უამბოს მთავრობა, რომელმაც იგი თავის „დედაქალაქად“ გამოაცხადა.

მეამბოხეებთან ერთად სახალხო არმია უტევს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რეგულარულ ჯარის ნაწილებს. მიუხედავად ამისა, აქ მიღებული ცნობებით, პრეტორიელი რასისტები აპირებენ „ელექტროსადგურების დაცვის“ სახებით შეინარჩუნონ ოკუპირებული ნამიბიის მოსაზღვრე ანგოლის ტერიტორიის ზოლი, რომლის სიგანე დაახლოებით 80 კილომეტრია.

სილვა-პორტუს განთავისუფლების შემდეგ სახალხო არმიის ნაწილები ქალაქ ლუბუს უტევენ. ეს პრაქტიკულად ბოლო დიდი სატრანსპორტო კვანძია ტრანსანგოლის რკინიგზაზე, რომელსაც ჯერ კიდევ ინარჩუნებენ ინტერვენტები და მეამბოხეები.

უტევს რა ლუზუს, ეროვნული არმია მიიწევს სამხრეთისაკენ ატლანტის ოკეანის სანაპიროს გასწვრივ სასაზღვრო მდინარე კუნენის მიმართულებით.

ნიუ-იორკი, (საკადესი). „ხრული დეზორგანიზაცია“, „კრიზისული ვითარება“ — ასე აფასებენ მდგომარეობას ანგოლელ გამთავშველთა ბანაკში ამერიკული გაზეთების კორესპონდენტები, რომლებიც მოვლენების ადგილზე იყვნენ. „ნიუ-იორკ ტაიმსი“ აღიარებს, რომ სამხრეთის ფრონტზე მეამბოხეებს, დაქირავებულებსა და ინტერვენტებს „ძალა არ შეხწევთ მოიგერიონ პატრიოტული ძალების შეტევა“.

„კრისჩენ საიენს მონიტორი“ აღწერს გამთაშველთა და დაქირავებულთა განხეთქილებას ქვეყნის ჩრდილოეთი ნაწილის ვიწრო ზოლში, რომელსაც ჯერ კიდევ ინარჩუნებს ფნლა. ანგოლელები, რომლებიც ამ დაჯგუფების მხარეზე არიან, წერს გაზეთი, უარს ამბობენ ჩაებან ბრძოლაში. მაგრამ დაქირავებულნი, რომლებმაც მოლიანად ხელთ იგდეს ოპერაციათა სარდლობა, აიძულებენ მათ განაგრძონ საომარი მოქმედება მპლას წინააღმდეგ.

ჯ. ფორდის თათბირი ი. ლუნსთან

ვაშინგტონი, (საკადესი). თეთრ სახლში გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. ფორდის თათბირი ნატოს გენერალურ მდივანთან ი. ლუნსთან. თათბირს წინ უძღოდა ლუნსის ხანგრძლივი შეხვედრა სახელმწიფო მდივანთან ჰ. კისინჯერთან.

თეთრი სახლის წარმომადგენელს ღრმად არ გაუშუქებია განხილული პრობლემები და მხოლოდ განაცხადა, რომ ლუნსის ვიზიტის დროს იმსჯელეს მრავალ საკითხზე, მათ შორის ანგოლის სიტუაციის, ნატოს სამხრეთი ფლანგის მდგომარეობის, ინგლის-ისლანდიის თევზჭერის კონფლიქტისა და სხვა საკითხებზე.

ამერიკის პრესას მიაჩნია, რომ თეთრ სახლსა და სახელმწიფო დეპარტამენტში აზრთა გაზიარების დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ანგოლაში პოლიტიკის განხილვასა და კოორდინაციას, სადაც, როგორც ცნობილია, ნატო შეერთებული შტატების კარნახით ფორთოდ უჭერს მხარს იარაღითა და დაქირავებულთ ჯარისკაცებით ამბოხებულ დაჯგუფებებს, რომლებიც იბრძვიან ანგოლის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ, და იქეზებს სამხრეთ აფრიკის რასისტთა ჯარების შეიარაღებულ ინტერვენციას.

„ნატოს სამხრეთ ფლანგის“ პრობლემის განხილვის დროს, როგორც ამერიკელი მიმომხილველები აღნიშნავენ, უწინარეს ყოვლისა განიხილეს საბერძნეთ-თურქეთის კონფლიქტის შედეგად შექმნილი კვიპროსის სიტუაცია. ცდილობენ რა ეანმატიკონ პოზიციები ამ რაიონში, ნატოელი ხელმძღვანელები ხელს არ იღებენ კვიპროსის საქმეებში ჩარევის გეგმებზე.

ფაქტები მოვლენები პრობლემები

საკვანძო და უახლოესი პრესის სააგენტოები იტყობინებიან

იტალიის ახალი მთავრობა

რომი, (საკადესი). ფიცი დადო იტალიის ახალმა მთავრობამ, რომელიც ქრისტიანმა დემოკრატმა ა. მორომ შეადგინა მომდინარე წლის 7 იანვარს გადამდგარი იმ ადრინდელი კაბინეტის ნაცვლად, რომელშიც შედიოდნენ ქრისტიან-დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიების წარმომადგენლები. ახალ კაბინეტს, რომელიც მხოლოდ ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებისგან შედგება, პარლამენტში მხარს დაუჭერენ მხოლოდ სოციალ-დემოკრატები. ადრინდელ კოალიციაში ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ყოფილმა პარტნიორებმა — სოციალისტებმა და რესპუბლიკელებმა — განაცხადეს, პარლამენტში ახალი მთავრობისათვის ნდობის ვოტუმის კენჭისყრისას თავს შეიკავებთო.

ა. მორომ პრაქტიკულად უცვლელი დატოვა მთავრობის ადრინდელი შემადგენლობა, მხოლოდ ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიისაგან სამი მინისტრი დანიშნა გადამდგარი რესპუბლიკელების ნაცვლად.

ერთპარტიული მთავრობა, აღნიშნავს „პაუზე სერა“, მეტად მეჩოუეია. ტურინის გაზეთ „სტამპას“ აზრით, ახალი კაბინეტი სერიოზულ სიძნელეებს აწყდება, რადგან მის წინაშე მეტად რთული პრობლემები დგას.

„კიდევ ერთი შეთქმულება“

ვაშინგტონი, (საკადესი). ვლინდება ახალი ფაქტები ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დანაშაულობათა შესახებ. როგორც განაცხადა სახელმწიფო დეპარტამენტის დაზვერვისა და გამოძიების ბიუროს ყოფილმა თანამშრომელმა ჯონ მარქსმა, 1950-იან წლებში ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ რამდენჯერმე სცადა მოეკლა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი გამალ აბდელ ნასერი. ამ მიზნით ეგვიპტეში გაიგზავნა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ მომზადებულ მკვლელთა სამი ჯგუფი.

როგორც ჯ. მარქსმა თქვა, რომელიც იმოწმებს „ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში 20 წლის მუშაობის მანძილზე აბსოლუტურად სანდო ინფორმაციის შემცველ წყაროებს“, ნასერის მოკვლის მოწყობის გადაწყვეტილება მიიღეს დ. ეიზენჰაუერის ადმინისტრაციის მაღალ თანამდებობის პირთა თათბირის დროს.

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, აღნიშნა ჯ. მარქსმა, დაუყოვნებლივ შეუდგა შეთქმულების მოწყობას ნასერის „მოსპობის“ მიზნით. მაგრამ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ მომზადებული სამი ჯგუფიდან ვერც ერთმა ვერ მოახერხა ამ მკვლელობის ჩადენა.

ბრაზილიის ახალი მთავრობა

**ბრაზილია, (საკადესი). ბრაზილიის ახალ ეროვნულ მთავრობაში, ბრაზილიის ეროვნული კონგრესის ორივე палატის ლიდერებმა, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ერთხმად ურჩიეს ბ. ფიგეიერედოს, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე

სტიქია და ადამიანი

გმირობა სვანეთის მთებში

სვანეთში თოვლით ვერავის გააკვირვებ. მაგრამ ის, რაც აქ იანვარში მოხდა, ას წელიწადს გადაცილებულ მოხუცებსაც არ ახსოვთ. ცხენისწყლისა და ენგურის ხეობებში შვიდ დღეს განუწყვეტლივ თოვდა. 18 იანვრიდან დაწყებული ბარდნიდა. თოვლი არაჩვეულებრივად მშრალი იყო. ციდან შხუილით, თითქოს დანაყილი ბროლი ცვიოდა.

უკვე მესამე დღეს თოვლის საფარის სიმაღლემ ლენტეხში სამ მეტრს მიაღწია.

გზებზე მოძრაობა შეწყდა, სახლები სახურავამდე დაიფარა, შეწყდა ელექტროენერგიის მიწოდება, ხატელეფონო კავშირი.
თეთრი დუმილი ჩამოწვა მთიან სვანეთში.

თეთრ სტიქიასთან საბრძოლველად!

მეტრი სიმაღლის თოვლი ძნელი არ არის ნიჩბებით გაკვალო. მაგრამ როცა მისი სიმაღლე სამ მეტრს აღწევს, იგი საშინელი დამანგრეველი ძალა ხდება, რომელსაც შეუძლია ქვეშ მოიყოლიოს საცხოვრებელი სახლები, საკოლმეურნეო ფერმები და სხვა ნაგებობანი.

სასწრაფო წესით რაიონში შეიქმნა ოპერატიული შტაბი მრისხანე სტიქიასთან საბრძოლველად. შტაბს სათავეში ჩაუდგნენ რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები. იგი ხელმძღვანელობდა მთელ მაშველ და საავარიო სამუშაოებს, განაგებდა მომარაგების, ზვავის მხრივ ყველაზე საშიში ადგილებიდან მცხოვრებთა ევაკუაციის საკითხებს.

შტაბთან შეიქმნა გამოცდილი მთამსვლელებისა და მოთხილამურე სპორტსმენებისაგან დაკომპლექტებული მაშველი რაზმი. იგი ეწეოდა გზების, ზვავების დაზვერვას, დახმარებას უწევდა დაბარალებულთ, უხიფათო ადგილებში გადაყავდა ავადმყოფები, ბავშვები, მოხუცები.

პირველი დახმარება — ჰაერიდან

პირველი დახმარება ჰაერიდან მოვიდა. მიუხედავად მთის პირობების სიძნელეებისა და არასელსაყრელი დასაჯდომი მოედნებისა, რომლებიც აღგილობრივმა მცხოვრებლებმა მოამზადეს, აეროფლოტის ქუთაისის განყოფილების მფრინავებმა ბ. თხელიძის ხელმძღვანელობით დიდი მამაცობა, ნებისყოფა და უმაღლესი საფრენოსნო მოშზადება გამოიჩინეს. პირველი დახმარება აღმოუჩინეს გაჭირვებაში ჩავარდნილ შორეული მთის სოფლებს ლაშურს, თეკალს, ხაჩეს, წანაშს. ვერტმფრენავებითა და თვითმფრინავებით მათ მიაღწიეს მთებში პატარა დასაშვებ მოედნებს და ქვეყნიდან მოწყვეტილ სოფლებს მიაწოდეს საჭირო კვების პროდუქტები, საწვავი, გამოიყვანეს ავადმყოფები, მოხუცები და ბავშვები.

ამ სპეციალურ რეისებში განსაკუთრებით გამოჩინეს თავი პილოტებმა ვ. ბელიალინმა, ო. ტალახაძემ, ნ. ცაცაშვილმა, კ. ჩოგოვაძემ, ვ. სარატონაშვილმა, ა. ხერგიანმა, ა. ხაბულიანმა.

თოვლის საფარის სიმაღლე — 5 მეტრი და 40 სანტიმეტრი!

განსაკუთრებით დიდი სიძნელეები ხვდათ სვანეთის სამხრეთ ფერდობთან მდებარე ლენტეხის რაიონის მაღალმთიანი სოფლების ბავრის, ხაჩეშისა და წანაშის მცხოვრებთ.

აქ თოვლის საფარმა უმაგალითო მაღალ ნიშნულს — 5 მეტრსა და 40 სანტიმეტრს მიაღწია.

ამ სოფლების მცხოვრებნი სამართლიანად გადდნენ სტიქიასთან ბრძოლის გმირები. ისინი ერთიან კოლექტივად შეკავშირდნენ, უძველეს პირობებში გაწმინდეს თოვლით დაფარული მეცხოველეობის ფერმები, გადაარჩინეს ცხოველები და ნაგებობანი, დაეხმარნენ გაჭირვებაში ჩავარდნილ სოფლელებს.

აი რამდენიმე ძუნწი სტრიქონი, რომლებს იქმიადა იმალება გმირობის, არაჩვეულებრივი დარაზმულობისა და კოლექტივიზმის მთელი ეპოპეა, რაც ასე დამახასიათებელია საბჭოთა ადამიანებისათვის გაჭირვების მძიმე წუთებში.

გმირობის ქრონიკა

...სოფელ ხაჩეშში მაშველმა რაზმმა 100 კაცის შემადგენლობით, პარტორგანიზაციის მდივან გ. ლიპარტელიანის ხელმძღვანელობით გადაარჩინა მეცხოველეობის ფერმა და ზვავით დაფარული კოლმეურნე ნ. ხელიას სახლი.

...ელექტრომონტიორებმა ე. კვანტიანმა და ხ. ლიპარტელიანმა ნამდვილი გმირობა გამოიჩინეს, გააღწიეს ზვავებსა და ნამქერებზე და აღადგინეს ცაგერი-ლენტეხის სატელეფონო კავშირი...

...სოფელ კახურაში გადაარჩინეს თოვლით დაფარული ლენტეხის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეობის ფერმა. ამ საქმეში თავი გამოიჩინეს ახალგაზრდა მწველავებმა ნინო მეშველიანმა, იამზე ქურახბედიანმა, ვერა ლიპარტელიანმა და ბრიგადირმა მიზდონ ლიპარტელიანმა.

...23 იანვარს რაიონულ დაწესებულებათა მუშაკების აქტივისაგან შექმნილმა მაშველმა რაზმმა მდინარე ცხენისწყლის ხეობაში თოვლისაგან გაათავისუფლა ელექტროგადაცემის ანძები, რომლებიც შავთულამდე იყო დაფარული თოვლით. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ბ. გაზდელიანმა, ე. ლიპარტელიანმა, გ. მეშველიანმა, მ. ქურახბედიანმა, ა. ლიპარტელიანმა, ნ. ლიპარტელიანმა. ელექტროენერგიის მიწოდება აღდგენილ იქნა.

...სოფელ ჩხალვარში 14 იანვარს გადაარჩინეს მეღორეობის ფერმა, რომელშიც 200 სული ღორი იყო. თავი გამოიჩინა მაშველმა ჯგუფმა, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ დ. ფურელიანი და დ. მეშველიანი.

...ადგილობრივმა მაშველმა რაზმებმა გაკვალეს გზა შორეული მაღალმთიანი სოფლების ჩაკულის, ლეუშერის, ჭვეელიერის და მელურისაკენ. გამოიყვანეს 200-ზე მეტი მცხოვრები ზვავის მხრივ ყველაზე საშიში ადგილებიდან.

...26 იანვარს მოთხილამურეთა ჯგუფი უძნელეს პირობებში ავიდა უარიშის მთაზე და აღადგინა ხუთმეტრიანი თოვლით დაფარული ტელეკავშირის სარეტრანსლაციო კოშკის მუშაობა. ამაში თავი გამოიჩინეს კომკავშირის რაიკომის მდივანმა ა. ჩანქსელიანმა, პარტიის რაიკომის მუშაკმა ა. ლიპარტელიანმა, ტექნიკოსმა ზ. ბენდელიანმა, ელექტრომონტიორებმა მ. ლიპარტელიანმა, გ. აფაქიძემ.

...მაშველმა ჯგუფმა ჩოლურის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის ბ. გვიდიანის ხელმძღვანელობით შეაღწია მეცხოველეობის შორეული ფერმებისა და საცხოვრებელი ნაგებობებისაკენ, გადაარჩინა პირუტყვი და მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი სოფლელები.

ვაქცინაციისა და გმირობის ასეთი მაგალითები შეიძლება ბევრი მოვიყვანოთ, მაგრამ ამ ერთ შემოხვევაზე მინდა ცოტა უფრო დაწვრილებით მოგითხროთ.

ორი საათი ზვავქვეშ

ეს მოხდა 14 იანვარს რაიონულ ცენტრ ლენტეხში დღის 4 საათზე. ლაგაბის მთიდან მოწყვეტილმა ზვავმა ელვის სისწრაფით დაფარა გიორგი მარგველანის სახლი.

რვა მეტრი სიმაღლის ქვეშ აღმოჩნდა სამი ადამიანი: გიორგის ცოლი ხვიჩილა და მეზობლები შალვა ასრიხანი და ათმერაზა ჩანქსელიანი, რომლებიც ეხმარებოდნენ ნაგებობის გადმოთოვლაში. ზვავს სასწაულით გადაურჩა სამი ბავშვი, რომლებიც ზვავის მოწყვეტამდე რამდენიმე წუთით ადრე ხერხის მოსატანად გაგზავნეს მეზობლებთან. ამ ამბის ერთადერთი ცოცხალი მოწმე გიორგი მარგველანი რომ არა, ზვავით — დაფარულნი განწირული იქნებოდნენ. მან პირველმა დაიძახა დახმარებისათვის. უკვე რამდენიმე წუთის შემდეგ მოირბინეს მეზობლებმა და შეუდგნენ ადამიანთა ამოყვანას. განწირულთა ამბავი ელვის სისწრაფით მოედო ლენტეხს. 2 საათის განმავლობაში 70 კაცისაგან შემდგარი მაშველი რაზმი მუშაობას განაგრძობდა. ადგილი როდი იყო ადამიანებამდე მიღწევა. მაგრამ ბედნიერი შემთხვევისა და დამხმარეთა დროზე მისვლის მეოხებით ზვავში მოყოლილი სამივე ადამიანი უვნებლად გადარჩა.

საკვირველია ის ფაქტი, რომ ადამიანებთან ერთად თოვლში მოყოლილი პატარა ძაღლი კუსა ამ ბედნიერად დამთავრებული ამბის ნამდვილი გმირი გახდა. მან თოვლქვეშ 14 დღე დაპყო და სხვების დაუხმარებლად მშვიდობით გამოადგა.

თეთრი გიგანტების მძლეველნი

მთავრობის კომისიის გადაწყვეტილებით წყალტუბოდან ლენტეხამდე ნაზვავების უსწრაფესად გაწმენდისათვის შეიქმნა საავტომობილო გზების სამინისტროს სპეციალური მექანიზებული რაზმი.

აი რას გვიამბობს ამ რაზმის ხელმძღვანელი საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებელი თამაზ შილაკაძე:

— ახლა გზა ლენტეხამდე უკვე მთლიანად გაწმენდილია ზვავებისა და ნამქერებისაგან და ჩვენს წინაშე დაყენებული რთული ამოცანა ღირსეულად არის შესრულებული. მინდა პირველ რიგში განსაკუთრებით აღვნიშნო მთელი კოლექტივის დიდი სიმამაცე და ვაჟკაცობა.

საქართველოს საავტომობილო გზების ისტორიას ასეთი რამ არ ახსოვს. ეს ნამდვილად გმირული შრომა იყო.

მაგრამ მიუხედავად უამინდობისა და შრომის უძნელესი პირობებისა ეს შეჯახება ბუნების მრისხანე ძალებთან ღირსეულად მოიგეს. ხამმეტრიანი თოვლით დაფარული ლენტეხისაკენ მიმავალი გზა გაიწმინდა.

ზვავის 2.000.000 კუბმეტრზე მეტი თოვლი აიწმინდა მრისხანე თეთრი გიგანტების ამ უმაგალითო შტურმის დროს.

აი ამ ბრძოლის გმირთა სახელები: მებუღლიოწყრეები გურამ კეთილაძე, ბენო მჭედლიძე, თეიფანე მუკბანიანი, ალბერტ ბოჭორიშვილი, აკაკი სირაძე, გიორგი ლიპარტელიანი, ჯუმალ მუმლაძე, ილია ირემაძე, ნოდარ გიორგობიანი, გზის ოსტატები: რ. ჯვარბერიშვილი, ო. ტბილდიანი, ტექნიკოსები ლ. ოქროსაშვილი, ო. ლიპარტელიანი, საგზაო უნებების უფროსები გ. ჭურასხვედიანი და ჯ. მუშკუდიანი.

□

ლენტეხიდან რომ მოვდიოდი, ცხოვრება უკვე შევიდა თავის ჩვეულ კალაპოტში. არც კი მჯეროდა, რომ თოვლის სიმაღლე აქ 3 მეტრი და 40 სანტიმეტრი იყო.

სკოლაში გარბოდნენ მხიარული ბავშვები, დედებს სბავშვო ბალში მიჰყავდათ პატარები, მუშობდნენ მაღაზიები, ენოო ელნათურები, რადიო გადმოსცემდა უკანასკნელ ამბებს მოსკოვიდან.

მაგრამ რაიონულ შტაბში კვლავ მოდის ცნობები მთიელთა მამაცობისა და გმირობის ახალ მაგალითებზე. და მე კვლავ ვუბრუნდებოდი იმ აზრს, თუ რა შეკავშირებული და მამაცია ჩვენი საბჭოთა ხალხი, რომელიც ერთსულოვნად ირაზმება ყოველ საფრთხესთან საბრძოლველად.

ს. კილაძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

სურათებზე: მარჯვნივ ზემოდან — ლენტეხში თოვლის სიმაღლემ სამ მეტრს და 40 სანტიმეტრს მიაღწია, თოვლის კედელი ორჯერ მაღალია ადამიანზე; მექანიზებული მაშველი რაზმის მებუღლეოზერეები (მარცხნიდან): გ. კეთილაძე, ბ. მჭედლიძე და ნ. გიორგობიანი. მარცხნივ ზემოდან — ზვავს გადარჩენილნი შ. ასროსიანი, ა. ჩანქსელიანი, ხ. მარგველანი და პატარა კუსა; ელექტრომონტიორები ე. კვანტიანი და ხ. ლიპარტელიანი აღადგენენ ზვავით დაზიანებულ სატელეფონო ხაზს; აი როგორ გამოიყურება თოვლში ჩაფლული ბოძი; ქვემოთ — ვერტმფრენმა სოფელ ლეუშერის მცხოვრებლებისათვის სურსათი ჩამოიტანა.

ავტორის ფოტო.

მიუნიხეს ოლიმპიური ცხრილი

ოქრო ამანათრბენშიც

ზეშველდის თოვლის ტრასაზე უკანასკნელი ასპარეზობა ჭრონდათ ქალებს — ამანათრბენი 4X5 კილომეტრზე. საბჭოთა გუნდმა — ნინო ბალდიჩევამ, ზინაიდა ამოსოვამ, რაისა სმეტანინამ და გალინა კულაკოვამ — დისტანცია I საათში, 7 წუთსა და 49,75 წამში დაამთავრა და ოლიმპიური ჩემპიონობა მოიპოვა. ორი ოქრო სამიდან, აგრეთვე ერთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი — ასეთია ჩვენი მოთხილამურე ქალების ბრწყინვალე წარმატება. ამანათრბენში მეორე იყო ფინეთის, მესამე — გდრ-ის გუნდი.

ფიგურული ციგურაობა დაამთავრეს ვაჟებმა. ოლიმპიური ჩემპიონი გახდა ინგლისელი სპორტსმენი ჯონ კარი, ვერცხლის მედალი მოიპოვა შარშანდელმა ევროპის ჩემპიონმა მოსკოველმა ვლადიმერ კოვალიოვმა, ბრინჯაოსი — კანადის ჩემპიონმა ტოლერ კრენსტონმა. მსოფლიოს ჩემპიონი მოსკოველი სერგეი ვოლკოვი მეხუთე ადგილზეა, ლენინგრადელი იური ოვჩინიკოვი — მეოვეზე.

გუშინ გვიან ღამით დაამთავრეს პაექრობა ქალებმა.

ოლიმპიადების ისტორიაში მოციგურავე ვაჟები პირველად ასპარეზობდნენ 1.000-მეტრიან დისტანციაზე. გაიმარჯვა ამერიკელმა პიტერ მიულერმა, დრო 1 წუთი 19,32 წამი. ფინეთსან მეორე შედეგით მივიდა ნორვეგიელი ირონ დიდრიჭსონი (1.20,45); მესამე იყო საბჭოთა მოციგურავე ვალერი მურატოვი (1.20,57). გუშინ სტარტი მიეცა შეჯიბრებას 1.500 მეტრზე. გაიმარჯვა ნორვეგიელმა იან ეგონ სტერპოლდმა. იური კონდაკოვმა მეორე დრო აჩვენა, ჰოლანდიელმა ჰანს ვან ჰელდენმა — მესამე.

ამერე ოქროს მედალი მოიპოვა ოლიმპიადაზე დასავლეთ გერმანიის სპორტსმენმა როზი მიტერმაიერმა. ამჯერად მან ყველაზე სწრაფად — 1,30,54 — გაიარა სპეციალური სლალომის ტრასა; ვერცხლი ხვდა კლაუდია ჯორდანის (იტალია), ბრინჯაო — ჰანნ ვენცელს (ლიხტენშტეინი). გუშინ სამთო მოთხილამურე ქალები გიგანტურ სლალომში სცდიდნენ ბედს.

ბოლოსწინა მატჩები ჰქონდათ ჰოკეისტებს. მეოთხედ გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა. ფინეთის გუნდთან მათი შეხვედრის ანგარიშია 7:2 (3:0, 1:0, 3:2), ასევეა შედეგით (3:1, 1:1, 3:0) ამერიკელებმა დაამარცხეს პოლონეთის ნაკრები, ხოლო ჩეხოსლოვაკიელებმა სძლიეს გერ-ის გუნდს — 7:4. ჩეხოსლოვაკიელებს წაგება — 0:1 ჩაეთვალათ პოლონელებთან შეხვედრაში (მათ ეს მატჩი მოიგეს 7:1), რადგან ერთი სპორტსმენი არ გამოცხადდა დოპინგის სამედიცინო შემოწმებაზე.

გუშინ მედლები გათამაშდა ბიატლონისტთა ამანათრბენში 4X7,5 კილომეტრზე. საბჭოთა სპორტსმენებმა ა. ელიზაროვმა, ი. ბიაკოვმა, ნ. კრუგლოვმა და ნ. ტიხონოვმა მეთორმეტე ოქროს მედალი შემატეს ჩვენს ჯუალაას. ვერცხლის მედლები მოიპოვეს ფინელმა, ბრინჯაოსი გდრ-ის ბიატლონისტებმა.

თბილისის საერთაშორისო

პირველი ჩემპიონები

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში სტარტი აიღო ძიუდოისტთა მეშვიდე საერთაშორისო ტურნირმა.

პირველ დღეს სასხლის ტატამზე გამართა ქვეძმიმე (93 კგ) და მძიმე (93 კგ-ს ზევით) წონითი კატეგორიების მოჭიდაკვთა შეჯიბრება. ასპარეზობა დამაჯერებლად დაიწყეს ქართველმა ფალავნებმა ჯიბილო ნიკიტარაძემ და რამაზ ხარშილაძემ. წინასწარ შეხვედრებში გამარჯვების შემდეგ რ. ხარშილაძემ ფინალში სძლია ხ. იშიკავას (იაპონია) და ჩემპიონი გახდა. ჯ. ნიკიტარაძე ნახევარფინალში დამარცხდა მოსკოველ ა. კაზაჩენკოსთან და მესამე ადგილზე გამოვიდა. ამ წონაში პირველობა იაპონელმა ხ. ენდომ მოიპოვა.

დღეს ბრძოლაში ჩაებმებიან ქვესაშუალო (70 კგ) და საშუალო (80 კგ) წონითი კატეგორიების მოჭიდავეები.

ო. კუსიანი,
სპორტის ოსტატი.

ფეხბურთი

მეორე გამარჯვება

საბჭოთა კავშირის ნაკრებმა, რომელსაც ამხანაგური მატჩების ტურნე აქვს ეუროსლავიაში, ქალაქ სპლიტში ანგარიშით 2:1 დაამარცხა ჩვეულნის ჩემპიონატის ლიდერი — „პარტიზანი“.

ავიაცია

გუშინ 13 საათისათვის დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ მთიან რაიონში, აგრეთვე სოხუმში, გაგრასა და გუდაუთაში თოვდა. გემპერატურა ბარში 2-3 გრადუსი სითბო, მთაში 3-5 გრადუსი ყინვა იყო.

აღმოსავლეთ საქართველოში უნალექო ამინდი იდგა. ყინვადა — ბარში 3-5 გრადუსი იყო, მთაში — 6-11 გრადუსი.

თბილისში მზიანი ამინდი იდგა, მაგრამ თერმომეტრი მაინც 2 გრადუსი ყინვას უჩვენებდა.

დღეს დასავლეთ საქართველოში უნალექო ამინდი იქნება, ბარში მოსალოდნელია 2-7 გრადუსი სითბო, მთაში 0-4 გრადუსი ყინვა; აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში — ზოგან მცირე თოვლი და ნისლი, სუსტი ქარი, გემპერატურა ბარში 0-5 გრადუსი, მთაში 6-11 გრადუსი ყინვა იქნება.

თბილისში დღეს უნალექო ამინდია მოსალოდნელი, გემპერატურა — 1 გრადუსი სითბო.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

ეროვნული პროგრამა

□ 16 თებერვალი

12.00 — კინომოგზაურთა კლუბი (გადმოცემა მოსკოვიდან, ფერადი გამოსახულებით),
17.55 — ცეროდენას ეკრანი,
18.30 — „ბურატინოს გამოფენა“ (გადმოცემა მოსკოვიდან, ფერადი გამოსახულებით),
19.00 — „ვესტნიკი“ საინფორმაციო პროგრამა,
19.20 — „მწერლის ტრიბუნა“ — აკაკი ბაქრაძე,
19.50 — ოიჰან შტრაუსის ვალსები (გადმოცემა მოსკოვიდან),
20.25 — „სიონიზმი სიყალბე და ფაქტები“ (გადმოცემა მოსკოვიდან),
20.55 — „მოამბე“ საინფორმაციო პროგრამა,
21.25 — „მღერის ლამარა ჭყონია (ფერადი გამოსახულებით),
22.00 — „ვრემია“ საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.35 — მხატვრული ფილმი, დასასრული ახალი ამბები.

□ 17 თებერვალი

11.00 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „სტროგოვები“ — V სერია. (გადმოცემა მოსკოვიდან, ფერადი გამოსახულებით),
17.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დე, მუდამ იყოს მზე“,
18.50 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ვისაუბროთ ეუნუნო მუშაობის სისტემაზე“ (ქართულ ენაზე),
19.35 — „ახალი ხუთწლედი — სტახანოვცა და ხარისხის წელიწადი“,
20.50 — „უფროსები საუბრობენ — ნახატი ფილმი,
21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
21.30 — კონცერტი,
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.35 — „ეპიზოდური როლი კინოში“, დასასრული — ახალი ამბები.

□ 18 თებერვალი

11.00 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „სტროგოვები“ — VI სერია (გადმოცემა მოსკოვიდან, ფერადი გამოსახულებით),
17.05 — მოსწავლეთათვის — ბერძნული ენა,
17.35 — კინონარკვევი,
18.30 — განცხადებები,
18.35 — ბავშვებისათვის — „ნდერსენის ზღაპრები,
19.20 — კიბოეურნალი,
19.30 — სკკპ XXV ყრილობის შესახვედრად — „განვამტკიცოთ მეცნიერების კავშირი წარმოებასთან“,
20.00 — კონცერტი,
20.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
21.00 — „გადაცემა“ თეატრი და ცხოვრება“, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი „დასაწყისი“ I მოქმედება.
22.00 — „ვრემია“ საინფორმაციო პროგრამა“ (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.35 — რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი „დასაწყისი“, II მოქმედება. დასასრული — ახალი ამბები.

□ 19 თებერვალი

11.15 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „სტროგოვები“ — VII სერია (გადმოცემა მოსკოვიდან),
17.05 — მოსწავლეთათვის — რუსული ენა,
17.35 — კინონარკვევი,
18.30 — განცხადებები,
18.35 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ჩვენის ძალა“ (ქართული ენაზე),
18.45 — ფილმი-კონცერტი „ეორეოგრაფიული პოემა“ (ლენინგრადის ტელევიზიის ნაწარმოები),
19.30 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი“ (გადმოცემა მოსკოვიდან),
20.00 — „სოფლის მეურნეობის სპეციალისტის ტრიბუნა“,
20.20 — საესტრადო კონცერტი „ტელევიზია მასპინძლობს“,
21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
21.30 — „სკკპ XXV ყრილობის დელეგატი“,
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან, ფერადი გამოსახულებით),
22.30 — „კინოლექტორიუმი“.

□ 20 თებერვალი

11.15 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „სტროგოვები“ — VIII სერია (გადმოცემა მოსკოვიდან),
17.05 — მოსწავლეთათვის — ფრანგული ენა,
17.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კოსკიდან მეტრომდე“,
18.45 — განცხადებები,
18.50 — მოსწავლეთათვის — „ჩვენი პროსპექტერენცია“,
19.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა,
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.35 — „მუსიკალური შეხვედრები“, დასასრული — ახალი ამბები.

□ 21 თებერვალი

10.30 — „ბავშვებს ცხოველების შესახებ“ — (გადმოცემა ლენინგრადიდან),
11.00 — „თქვენთვის, მშობლებო!“ (გადმოცემა მოსკოვიდან),
11.30 — მუსიკალური პროგრამა — „დილის ფოსტა“ — (გადმოცემა მოსკოვიდან),
12.05 — „შეგისწავლოთ ქართული ენა“,
12.50 — „კინოდოკუმენტალისტის თვალით“,
13.50 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
15.20 — „კინოსკოლა“,
15.30 — „სტუდენტთათვის — უმაღლესი ძალოვანება“,
16.30 — ხახატი ფილმი,
16.45 — „გიორგობა საბჭოთა არმიის ენციკლოპედიისათვის“,
17.50 — „ბილიბინი“ — საბავშვო ბიბლიოთეკა,
18.00 — „ცოვილნა სხეაარობაში“ — (გადმოცემა მოსკოვიდან),
19.00 — „XXV ყრილობის შესახვედროდ“ — „დავიჭიროთ მიღწევათა დიაგრამა“,
19.20 — „ახალგაზრდობა“ — სატელევიზიო პროგრამა,
19.50 — ძ

ტვრული ფილმი „თუ გიყვარ ოთ ბედნიერი იყო“,
21.00 — „მოამბე“ საინფორმაციო პროგრამა,
21.30 — სტუდიაში — ვოკალურ-ინსტრუმენტ ალ ი ანსამბლი „პესხიანი“,
22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — „თეატრალური შეხვედრები“ (გადმოცემა მოსკოვიდან, ფერადი გამოსახულებით).

□ 22 თებერვალი

10.30 — „მაღვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან),
11.00 — „შეგისწავლოთ რუსული ენა“,
11.45 — დოკუმენტური ფილმი — „მშვიდობა თქვენ ხდა“,
12.45 — „შეხვედრა სკკპ XXV ყრილობის დელეგატებთან“ (გადმოცემა მოსკოვიდან),

ტელევიზია

14 თებერვალი

პირველი პროგრამით

10.30 — „მოდი, ზღაპარო!“ — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — კინოსარკვევი, 11.15 — „შევისწავლოთ ქართული ენა“, 12.00 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „სტროგოვები“ III სერია. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.10 — ზამთრის XII ოლიმპიურ თამაშებზე — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა ინსბრუკიდან), 17.25 — ფილმი-კონცერტი „მღერის ლამარა ჭყონია. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.50 — სოციალისტური საკუთრების სადარაჯოზე, 19.15 — ზამთრის XII ოლიმპიურ თამაშებზე. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა ინსბრუკიდან), 20.10 — ყრილობის დელეგატი, 20.25 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.55 — საესტრადო პანორამა, 21.35 — ტელეფილმი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ზამთრის XII ოლიმპიურ თამაშებზე. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა ინსბრუკიდან).

მეორე პროგრამით

18.05 — ბავშვებისათვის — გართობი კინოპროგრამა, 19.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მთავარი კონსტრუქტორი“ I ნაწილი, 20.40 — კონცერტი, 21.20 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მხედრები“ II სერია.

15 თებერვალი

პირველი პროგრამით

08.32 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები, 09.16 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერის“ საკვირაო გამოშვება, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.45 — „მუსიკალური რადიოფიშა“, 13.00 — მუსიკის საათი ახალგაზრდობისათვის. კონცერტი-სუიტა „ე. ბიზე“, 14.00 — რადიოფუნსალი „ფიზკულტურა და სპორტი“, 14.30 — ო. გორდელი — კონცერტი ფლეიტისა და ორკესტრისათვის, 14.45— საბჭოთა პოეტების ლექსები, 15.00 — „მეგობრობის კონცერტი“ — მოძმე საბჭოთა სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების რადიომსმენელთათვის, 15.30 — „დიდები და პატარები“ — საუბარი „კიდევ ერთი პრობლემა“, 23.30 — ა. ჩიმაკაძე. სამღერები.

14 თებერვალი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ბედნიერ ბა (მე-15 აბონ. III წარმ.); კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — სოპრანე; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ბიბუნა (პრემიერა).



თბილისის № 24 საუკეთესო პროფტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1976 სასწავლო წლისათვის მძღოლის სპეციალობაზე

სასწავლებელში მიიღებიან 16-25 წლის საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდები, სწავლის ხანგრძლივობა ერთი წელია. სასწავლებელში ჩარიცხული მოსწავლეები მიიღებენ სტიპენდიას 30 მანეთს და საწარმოო პრაქტიკაზე გამომუშავებული თანხის 50 პროცენტს.

პროფესიასთან ერთად მოსწავლეები შეისწავლიან ქალის კაბების გამოჭრას და შეკერვას, საქმისმწარმოებელ მექანიკის პროფესიას, ამასთან ერთად სასწავლებელში შექმნილია ჯანმრთელობის უნივერსიტეტი.

მოსწავლეები, რომლებიც სახელმწიფოს ხარჯზე სწავლობენ, ინარჩუნებენ სტიპენდიას.

ეროვნული ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემია

ეროვნული ეკონომიკის ინსტიტუტი

ეროვნული ეკონომიკის ინსტიტუტი

**ეროვნული ეკონომიკის ინსტიტუტი